რკინიგზის ტელეკომი RAILWAY TELECOM

რუსთაველის გამზ. #31, თბილისი 0108 საქართველო, ტელ: +995 32 565684, ფაქსი: +995 32 565084
31, Rustaveli Avenue, Tbilisi 0108, Georgia, Tel: +995 32 565684, Fax: +995 32 565084

#080423-1

23,04,2008 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავჯდომარეს
ბატონ გ. არველაძე

ბატონო გიორგი,

თქვენი, 2007 წლის 31 აგვისტოს # 498/9 გადაწყვეტილების პასუხად გიგზავნით შპს "რკინიგზის ტელეკომის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადებას (მოწვევის ოფერტა).

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ თქვენს ვებ-გვერდზე.

პატივისცემით,

გიორგი გოთომია
დირექტორი

RAILWAY TELECOM, LTD • 202239737

მიღებულია № 6/824-08
"23" 04 2008
1+4 ფურცელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის # 498/9 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს "რკინიგზის ტელეკომის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა)

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტის თანახმად:**

მონაკვეთი	მისამართი	მულტიპლექსორის ტიპი	სრული 2მბიტ/წმ სიმძლავრე	დატვირთული სიმძლავრე 2მბიტ/წმ	თავისუფალი სიმძლავრე 2 მბიტ/წმ ექვივალეტი
ქ. თბილისი, ასს 56 – EWSD საკომუტაციო დარბაზი	წინამძღვრიშვილის #162 - რუსთაველის #31	AXXEDGE R2.1	252	240	12
ქ. თბილისი, ასს 56 - ქ. გორი	წინამძღვრიშვილის #162 - სადგური გორის/რკინიგზის სადგური	AXXEDGE R2.1	252	222	30
ქ. გორი - ქ.ხაშური	სადგური გორის /რკინიგზის სადგური სადგური ხაშურის /რკინიგზის სადგური	AXXEDGE R2.1	252	212	40
ქ. ხაშური - ქ.ზესტაფონი	სადგური ხაშურის /რკინიგზის სადგური სადგური ზესტაფონი /რკინიგზის სადგური	AXXEDGE R2.1	252	212	40
ქ.ზესტაფონი - საჩხერე/ჭიათურა	სადგური ზესტაფონი /რკინიგზის სადგური ანძა "მოდი ნახე" - რკინიგზის სადგური	Sisco 871	14	14	0
ქ. ზესტაფონი - ქ. ქუთაისი	სადგური ზესტაფონი /რკინიგზის სადგური ქ. ქუთაისი, თამარ მეფის #56	AXXEDGE R2.1	252	198	54
ქ. ქუთაისი - ქ. სამტრედია	ქ. ქუთაისი, თამარ მეფის #56 ქ. სამტრედია, ჯავახიშვილის #2 /რკინიგზის სადგური	AXXEDGE R2.1	252	188	64
ქ. სამტრედია - ურეკი	ქ. სამტრედია, ჯავახიშვილის #2 სადგური ურეკი / რკინიგზის სადგური	AXXEDGE R2.1	252	187	65
ურეკი - ქ. ბათუმი	სადგური ურეკი/რკინიგზის სადგური- ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. #33	AXXEDGE R2.1	252	186	66
ქ. თბილისი - ქ. ბათუმი	წინამძღვრიშვილის #162 - რუსთაველის #31 - ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. #33	AXXEDGE R2.1	252	222	30

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.ბ ქვეპუნქტის თანახმად:**

დაშვების და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების ტარიფები:

წერტილები	დაშვების ტარიფი (ლარი - დღგ-ს ჩათვლით)	მომსახურების ტარიფი ლარი/2მბიტ/წმ (ლარი - დღგ-ს ჩათვლით)
ქ. თბილისი, ასს 56 – EWSD საკომუტაციო დარბაზი	500	500
ქ. თბილისი, ასს 56 - აზეირბაჯანის საზღვარი/გარდაბანი	1,000	2,400
ქ. თბილისი, ასს 56 - სომხეთის საზღვარი/სადახლო	1,000	2,000
ქ. თბილისი, ასს 56 - ქ. გორი	500	900
ქ. თბილისი - ქ.ხაშური	500	1,300
ქ. თბილისი - ქ.ზესტაფონი	500	2,100
ქ. თბილისი - საჩხერე/ჭიათურა	2,500	2,500
ქ. თბილისი - ქ. ქუთაისი	500	2,500
ქ. თბილისი - ქ. სამტრედია	500	2,900
ქ. თბილისი - ურეკი	500	3,300
ქ. თბილისი - ქ. ბათუმი	500	3,800

- დაშვების მსურველმა ოპერატორმა მოთხოვნა დაშვების შესახებ უნდა წარმოადგინოს წერილობითი სახით. მოთხოვნაში ასახული უნდა იქნას სერვისის მიწოდების დაწყების თარიღი და წერტილებს შორის ლოკაციის ადგილები.
- განაცხადის შემოსვლიდან 2 სამუშაო დღეში გაიცემა პასუხი დაშვებისა და საჭირო ტექნიკური საშუალებების შესახებ.
- ანგარიშსწორება წარმოებს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაოე დღეში (საინსტალაციო ხარჯის), ხოლო ყოველთვიური სერვისის ღირებულების საანგარიშსწორებო თვის 5 რიცხვამდე.

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.დ ქვეპუნქტის თანახმად:**

პერიოდი	დასახელება	დანახარჯები (ლარი)
2007 წელი	არხის იჯარა	8,472
	საკაბელო მომსახურება	77,856
	ფართის იჯარა	4,800
	ელ.ენერგია	2,959
	სულ:	94,087

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.ე ქვეპუნქტის თანახმად:**

მაგისტრალური საკომუნიკაციო არხით მომსახურების მსურველი ოპერატორის წერილობითი განაცხადის განხილვის შემდეგ მას წარედგინება შესაბამისი ტექნიკური წინადადება. ტექნიკური საშუალებების არსებოსის შემთხვევაში მოხდება მაგისტრალური არხის სიმძლავრის გამოყოფა და მხარეები შეთანხმდებიან საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე. რკინიგზის ტელეკომის მხრიდან საინსტალაციო სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა არ აღემატება 20 დღეს (არსებული გამოცდილებიდან, რკინიგზის ტელეკომი საინსტალაციო სამუშაოებს ახორციელებს 3-5 სამუშაო დღეში).

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.ვ და ა.ზ ქვეპუნქტის თანახმად:**

შპს "რკინიგზის ტელეკომს" არ გააჩნია თანალოკაციის ფართი, ის ვერ დაადგენს ა.ვ და ა.ზ ქვეპუნტში გათვალისწინებულ პირობებს, ვინაიდან სხვის ფართში პირობების დადგენა არ შედის მის კომპენტენციაში.

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.თ ქვეპუნქტის თანახმად:**

მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური ელემენტების დამატებითი სიმძლავრეების (პორტების) გამოყოფა მოხდება მსურველი ოპერატორის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წერილობითი მომართვის შემდეგ ტექნიკური საშულების არებობის და შეთანშემთხმების შემდეგ იმავე დღეს ან 2 – 4 სამუშაო დღეში.

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.ი ქვეპუნქტის თანახმად:**

ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას, არც ერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი სერვისის დაყოვნებაზე, პირდაპირი ან ირიბი დაუძლეველი ძალის მიზეზის არსებობისას. დაუძლეველი ძალის მიზეზს წარმოადგენს ნებისმიერი სამოქალაქო არეულობა, ქარი, ომი, ხანძარი, გაფიცვები,

სოციალურად საშიში ელემენტების მოქმედება, აჯანყება. გაფიცვები მომუშავე პერსონალს შორის, რომელიც მოიცავს "შემსრულებლის" პერსონალს, არ ჩაითვლება დაუძლეველი ძალის მიზეზად.

დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოქმნილი შემთხვევის შესახებ, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შემთხვევის შესახებ და მიიღოს ყველა შესაძლო ძალისხმევა დაუძლეველი ძალის მიერ წარმოქმნილი ცვლილებების აღმოფხვრის ან შემსუბუქებისათვის.

სერვისის შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია აუცილებელობის შემთხვევაში ან სხვა ტექნიკური დაზიანების შემთხვევაში (არა ფორს მაჟორული გარემოება/გამონაკლისები) შემსრულებელსა და დამკვეთს შორის მოქმედებს სერვისის ღირებულების ანგარიშსწორების შემდეგი ფორმულა. აღნიშნული ფორმულა, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სერვისის მიწოდება შეწყდება მიმდევრული 8 საათზე მეტი ხანგრძლივობით. საათობრივი ტარიფი გამოითვლება შემდეგი მეთოდით: P=S*(Hu-8)/Ht

S არის გადასახადი გათიშულ ტრაქტზე, Hu არის ტრაქტის გათიშვის განგრძლივობა, Ht არის საათების რაოდენობა შესაბამისი თვის განმავლობაში. (მაგ: იანვრის თვეში მოხდა სერვისის გათიშვა 14 საათით. p= 10.000 ლარი (სერვისის პირობითი ღირებულება)*(14-8)/(31*24)=(10.000*4)/744=53.76 ლარი შეადგენს მომდევნო თვეში სავანსო თანხას).

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.კ ქვეპუნქტის თანახმად:**

განაცხადის შემოსვლისა და მისი დაკმაყოფილების შემდგომ, კომპანიას გაეგზავნება ხელშეკრულების ნიმუში, მისი განხილვისა და საერთო პირობებზე შეთანხმების შემდეგ, მხარეები გააფორმებენ ხელშეკრულებას, ხოლო სერვისის ჩართვისას მიღება ჩაბარების აქტს.

- **გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ა.ლ ქვეპუნქტის თანახმად:**

მოწვევის ოფერტა მოქმედებს 6 თვიანი ვადით.

მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე # 498/9 გადაწყვეტილების მე-11 პუნქტიტის თანახმად შპს "რკინიგზის ტელეკომი" ვერ წარმოგიგდეთ ინფორმაციას, ვინაიდან ის არ ფლობს თავისუფალ ოპტიკურ-ბოჭკოვან წყვილებს და ბოჭკო რომელზეც ოპერირებს არ ირიცხება მის ბალანსზე.